



ანგარიში

პოლიტიკური პატიმრები  
საქართველოში

HRIDC

2009

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დამოუკიდებელი უფლებადამცველი ორგანიზაციაა. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვასა და ძირეული თავისუფლებების განვითარებას, ასევე წვლილი შეიტანოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ანხორციელებს პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების კანონთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. ჩვენ ვთანამშრომლობთ ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს და მათი მიზანია ქვეყანაში დემოკრატიისა და მშვიდობის დამყარება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ადამიანის უფლებათა ცენტრი  
აღ. ყაზბეგის გამზ. 3ა, სადარბაზო II, სართული IV. ბინა 22  
თბილისი, 0160 საქართველო  
ტელ: (+995 32) 37 69 50, (+995 32) 45 45 33;  
ფაქსი: (+995 32) 38 46 50

ელექტრონული ფოსტა: [hridc@hridc.org](mailto:hridc@hridc.org)

საიტის მისამართი: [www.hridc.org](http://www.hridc.org)

ინტერნეტ გაზეთი: [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)

მომზადებულია: დავით მანაგაძის მიერ

*ანგარიშისათვის გამოყენებულია პორტალის [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge) ფოტო-მასალა.*

ადამიანის უფლებათა ცენტრი განსაკუთრებულ მადლობას გამოხატავს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიმართ და „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის(აშშ)“ მიმართ ადამიანის უფლებათა მონიტორინის პროგრამაში გაწეული დახმარებისათვის.

შესავალი.

საქართველოს სინამდვილისათვის პოლიტიკური პატიმრების თემა კვლავ აქტუალურია. ხელისუფლების მიერ „დემოკრატიის“ და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ აღიარების მიუხედავად ხელისუფლების კრიტიკა, ხშირ შემთხვევაში სამართლიანი, სახიფათო საქმეა.<sup>1</sup>

ბუნებრივია, რომ ხელისუფლება არ აღიარებს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნის ფაქტებს, საკუთარი იმიჯის შელახვის საშიშროების გამო.

აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევებში ადამიანების დაკავების და გასამართლების მიზეზად, მათ მიერ კრიმინალური დანაშაულის ჩადენა სახელდება - ხულიგნობა, ნარკოტიკების მოხმარება, ქრთამის აღება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. და რაც მთავარია, თანამდებობის პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა იწყება მათ მიერ ხელისუფლების საჯარო კრიტიკის შემდეგ.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთხელ გააშუქა მსგავსი ფაქტები და მოუწოდა ხელისუფლებას გაენთავისუფლებინა პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პირები.<sup>2</sup>

### ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს პოლიტიკური პატიმრის რამდენიმე განსაზღვრება, რომელსაც სხვადასხვა სუბიექტი განსხვავებულ კონტექსტში იყენებს. მათ შორის ქართული სამოქალაქო საზოგადოებისათვის ყველაზე მეტად მისაღები აღმოჩნდა ევროპის საბჭოს მიერ 2001 წლის 16 ივლისს ჩამოყალიბებული პოლიტიკური პატიმრის ცნება, რომლის მიხედვითაც<sup>3</sup>:

**პირი, პოლიტიკური პატიმრის<sup>4</sup> სტატუსის მქონეა, თუ:**

- ა. დაპატიმრება მოხდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და მისი რომელიმე დამატებითი ოქმით გათვალისწინებული რომელიმე ფუნდამენტური უფლების დარღვევით. კერძოდ, აღმსარებლობის თავისუფლება, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლება;
- ბ. თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებითაა განპირობებული და არ არის დაკავშირებული რაიმე დანაშაულის ჩადენასთან;
- გ. პოლიტიკური მოტივები, პატიმრობის ვადა ან მისი პირობები მკვეთრად არაპროპორციულია ჩადენილ დანაშაულთან შედარებით, რომლისთვისაც ის სასამართლო განაჩენით ცნობილია დამნაშავედ ან ეჭვმიტანილია;
- დ. პოლიტიკური მოტივებით, პატიმარი დაკავებული იქნა დისკრიმინაციულ ვითარებაში, სხვა პირებთან შედარებით;
- ე. დაკავება შედეგია უდავოდ უსამართლო პროცედურებისა და ეს ყველაფერი აშკარად უკავშირდება ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებს;

მტკიცება იმის თაობაზე, რომ პირი პოლიტიკური პატიმარია უნდა ემყარებოდეს `Prima Facie` მტკიცებულებებს, რის გამოც დამკავებელ ხელისუფლებაზე გადადის მტკიცების ტვირთი დაამტკიცოს, რომ დაკავება სრულად შეესაბამება ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, როგორც მას განმარტავს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო თავის პრეცედენტებში არსებით საკითხებთან დაკავშირებით, რომ პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნები დაცულია და რომ დაკავების პროცესში დაცული იქნა სამართლიანი პროცედურები.

<sup>1</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=775&lang=ge>

<sup>2</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=search&lang=ge>

<sup>3</sup> <http://www.amnesty.org.ru/pages/vestnik28-3-rus>

<sup>4</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Political\\_prisoner](http://en.wikipedia.org/wiki/Political_prisoner)

ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“ მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ ასპექტსაც. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ აუცილებლად ჩათვალა „პოლიტიკური პატიმრის“ ცნების საყოველთაოდ მისაღები და სამართლებრივად სავალდებულო კრიტერიუმის ჩამოყალიბება. პოლიტიკური პატიმრობის კონკრეტული კრიტერიუმები გვხვდება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის #1359 რეზოლუციაში აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების თაობაზე.<sup>5</sup>

ეს კრიტერიუმებია:

- დაპატიმრებამდე ადამიანი უნდა იყოს პოლიტიკურად აქტიური და მისი დაპატიმრებით ხელისუფლებამ უნდა მიიღოს პოლიტიკური სარგებელი.
- ადამიანები, რომლებიც შეგნებულად ან შეუგნებლად შეურაცხყოფენ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს;
- ადამიანები, რომელთა დაპატიმრებას საფუძვლად დაედო არაადეკვატური და საკამათო მტკიცებულება და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მოწმის ჩვენება, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა პატიმრობის გამოყენება, ყალბია.
- დაპატიმრებული ნათესაური და მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფება პირთან, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ახორციელებდა.

ქართული კანონმდებლობით აღიარებული და დაცულია მთელი რიგი უფლებებისა, რომელიც ინდივიდის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისა და დისკრიმინაციის გარეშე მონაწილეობის უზრუნველსაყოფადაა მიმართული. აღნიშნულ უფლებათა რიგს განეკუთვნება ისეთი მნიშვნელოვანი უფლებები, როგორცაა: სიტყვისა და გამოხატვის, სინდისისა და აღმსარებლობის, ისევე როგორც შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლება, რომელთა პრაქტიკაში გარანტირების გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.

ამავე დროს საქართველოს კონსტიტუციაში ნათლად არის ჩამოყალიბებული შეკრების, ინფორმაციის მიღების ან/და გავრცელებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციის წევრობის ძირითად პრინციპები.

მუხლი # 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.
2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამომრათ ადგილას იმართება.
3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

მუხლი # 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.
2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.
3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი # 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.
2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.
3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალურ შუღლის გაღვივებას.
4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

<sup>5</sup> <http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta04/eres1359.htm>

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხედავად, ერთის მხრივ, მყარი საკანონმდებლო გარანტიებისა საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ მოხსენებაში<sup>6</sup> საუბარია საქართველოში პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნის შესახებ:

„საანგარიშო პერიოდში გაერთიანებული ოპოზიციის აქტივისტებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ამის მიზეზი იყო ის, რომ 2008 წლის ივნისის თვეში გაერთიანებული ოპოზიცია გეგმავდა მიტინგის ჩატრებას პარლამენტის შენობის წინ, რათა დაეფიქსირებინა 2008 წლის 21 მაისს არჩეული პარლამენტის შეკრებასთან დაკავშირებით. პოლიტიკური ოპოზიციის აქტივისტის თავდასხმის ყველა ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია წინასწარი გამოძიება, თუმცა დღემდე აღნიშნულ ფაქტებს არ ეძლევა ადეკვატური სამართლებრივი შეფასება.“<sup>7</sup>

„სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევარში მრავლად იყო მითითებული პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმის თაობაზე. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში არც ერთი თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით არ გამოკვეთილა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ამ დრომდე ადეკვატური სასჯელის გარეშე არიან დარჩენილი 2007 წლის ოქტომბრის თვეში პარლამენტის მაშინდელი წევრების ბეჟან გუნავაზე და ბიძინა გუჯაბიძეზე განხორციელებული თავდასხმის მონაწილეები. მათი ვინაობა ყველასთვის და, პირველ რიგში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის კარგად არის ცნობილი. თავდასხმელები არიან „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები გიორგი სამუშია, გოგა ლურწყაია, მანუჩარ ფუტკარაძე, გიორგი მანია, ირაკლი მიქაია, ბიქტორ მიქაია და აკაკი როგავა. სამართლებრივი თვალსაზრისით, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული პირები იხსნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მათი ქმედების უფრო მსუბუქი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი კვალიფიკაციით. ოქმის შემდგენი პატრული-ინსპექტორებისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მეტიმეტი ლმობიერების გამო, შეუძლებელი ხდება შემოხსნებულ პირებს დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რისთვისაც ისინი ცნობილი იყვნენ სამართალდამრღვევებად<sup>8</sup>. ბეჟან გუნავასა და ბიძინა გუჯაბიძეზე მოწყობილი თავდასხმის მონაწილეების დასჯა, რომ არავის უფიქრია ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუკი თვალს გადაავლებთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროპორციულ სიას. აღნიშნული განთავსებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე 1. საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის“ პროპორციული საარჩევნო სიის 88-ე ნომრად დასახელებულია გოგა ლურწყაია. მისი სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია დაბადების თარიღი – 1982 წლის 21 დეკემბერი; საქმიანობა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მთავარი სპეციალისტი. ეს სწორედ ის გოგა ლურწყაიაა, რომელიც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის დავით კეკენაძის 2007 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის ზომად განესაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა ოცი დღით, ასევე ჯარიმა ოთხასი ლარის ოდენობით. გოგა ლურწყაიას მიერ ბეჟან გუნავას მიმართ გამოვლენილი სისასტიკის კადრები დაფიქსირებულია ტელეკომპანიების „რუსთავი-2-სა“ და „იმედის“ მიერ.“<sup>9</sup>

„ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წელს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია: „პოლიტიკური ოპოზიციის გარკვეული წარმომადგენლები დაექვემდებარენ პოლიტიკურ ძალადობას. იყო ანგარიშები იმაზე, რომ პოლიტიკურად აქტიურმა პირებმა, რომლებიც მმართველ პარტიას არ ეკუთვნოდნენ, განიცადეს პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო დევნასთან და კორუფციაში ბრალდებასთან.“<sup>10</sup>

<sup>6</sup> <http://www.ombudsman.ge/index.php?m=332>

<sup>7</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2008წ. / 1 ნახევარი. <http://ombudsman.ge/index.php?m=332>

<sup>8</sup> (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 პუნქტით აღიარებული *Ne bis in idem* პრინციპი).

<sup>9</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - <http://ombudsman.ge/index.php?m=332>

<sup>10</sup> ამონარიდი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის ოფიციალური თარგმანიდან. იხილეთ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური ვებ-გვერდზე. მისამართი [http://georgian.georgia.usembassy.gov/downloads/HRR\\_geo.doc](http://georgian.georgia.usembassy.gov/downloads/HRR_geo.doc) გვ. 64

თუმცა ხელისუფლება არ აღიარებს საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობას, რადგან ყველა ის ადამიანი გასამართლებულია სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის, რომლებიც პოლიტიკასთან, ერთის შეხედვით, არანაირ კავშირში არ არის.

როგორც უკვე აღნიშნეთ, საეჭვოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ ადამიანების უმრავლესობა ნარკოტიკული დანაშაულისთვის, ხულიგნობისთვის და სხვა კრიმინალური დანაშაულისთვის წარედგინა ბრალდება.

ჩვენს ანგარიშში შესულია იმ ადამიანების საქმეები, რომლებმაც განიცადეს ან/და განიცდიან დევნას პოლიტიკური ნიშნით. ადამიანის უფლებათა ცენტრი<sup>11</sup> მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გაანთავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი და შეწყვიტოს მათი დევნა.

## 2007 წლის ნოემბრის მოვლენები

2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რუსთაველის გამზირზე მრავალათასიანი მიტინგის ორგანიზება ოპოზიციის ლიდერებმა მოახერხეს.

2007 წლის 2 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე 150 000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა.<sup>12</sup> ამას წინ უსწრებდა ერთი თვის მანძილზე გაერთიანებული ოპოზიციის მიერ შეხვედრები მოსახლეობასთან, საქართველოს 20-ზე მეტ რაიონში, პრაქტიკულად ყველა რეგიონში. აქციის ძირითადი მოთხოვნები მდგომარეობდა შემდეგში:

- საპარლამენტო არჩევნების გამართვა კონსტიტუციურ ვადებში, 2008 წლის გაზაფხულზე;<sup>13</sup>
- საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესის შეცვლა;
- მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ცვლილება;
- პოლიტპატიმრების განთავისუფლება.<sup>14</sup>

ამ სავესებით ბუნებრივი მოთხოვნებით საქართველოს მოსახლეობა მიმართავდა ხელისუფლებას - მშვიდობიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების დროს. **ხელისუფლების რეაქცია<sup>15</sup> არაადეკვატური<sup>16</sup>, ძალადობრივი<sup>17</sup> გზით მომიტინგეების დაშლა გახდა.<sup>18</sup>**

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის<sup>19</sup> ყურადღების ცენტრში 7 ნოემბრის ოპოზიციის მიტინგის დარბევას მოქცეული.<sup>20</sup>

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მძიმე მდგომარეობა ჩამოყალიბდა, რომელიც უნდა გამოსწორდეს, რომ ნაკლოვანება ტენდენციაში არ გადაიზარდოს.

**“იქ, სადაც სიტყვის თავისუფლება არ არის, დემოკრატიაზე საუბარი არ შეიძლება იყოს”, - აღნიშნულია სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ანგარიშში.**

სოზარ სუბარის ინფორმაციით, 7 ნოემბრის მიტინგის დარბევას დაშავდნენ არა მხოლოდ მომიტინგეები, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც იმ დროს იქვე აღმოჩნდნენ. ზოგიერთი

<sup>11</sup> <http://humanrights.ge/>

<sup>12</sup> <http://www.youtube.com/watch?v=a10Y7ScRVCI>

<sup>13</sup> მანამდე საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და თვითნებურად გაიხანგრძლივა ვადა - 2008 წლის შემოდგომამდე

<sup>14</sup> [http://domkaski.org/index.php?option=com\\_content&task=view&lang=ge&id=102](http://domkaski.org/index.php?option=com_content&task=view&lang=ge&id=102)

<sup>15</sup> [http://www.myvideo.ge/?video\\_id=81217](http://www.myvideo.ge/?video_id=81217)

<sup>16</sup> [http://www.myvideo.ge/?video\\_id=82849](http://www.myvideo.ge/?video_id=82849)

<sup>17</sup> [http://www.myvideo.ge/?video\\_id=93503](http://www.myvideo.ge/?video_id=93503)

<sup>18</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=1980&lang=ge>

<sup>19</sup> <http://www.ombudsman.ge/index.php?m=331> – 2007 წლის მეორე ნახევრის ანგარიში.

<sup>20</sup> <http://newsgeorgia.ge/geo1/20080716/42276434.html>

მათგანი, სახალხო დამცველის მონაცემებით, მაგალითად გიორგი შერაზადაშვილი, საავადმყოფოში მოხვდა. სუბარი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ აქციის დარბევისას დაირღვა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-3, მე-10 და მე-11 პუნქტები, ხოლო რიგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ამას მკაცრი შეფასებები მისცეს.

სახალხო დამცველმა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების გადაჭარბების მაგალითები მოიყვანა და განაცხადა, რომ ადამიანებს, რომლებმაც პროტესტი გამოხატეს, არამართლზომიერი საჯარიმო სანქციები დააკისრეს.

სოზარ სუბარმა ასევე გააპროტესტა 7 ნოემბრის აქციის დარბევისას რეზინის ტყვიების გამოყენება პარლამენტის სპეციალური ნებართვის გარეშე. სახალხო დამცველის აზრით, ეს არა მხოლოდ უფლებამოსილების გადამეტებაა, არამედ დანაშაულიც, რომელზე პასუხისმგებლობაც საქართველოს შსს-ს ეკისრება.

ასევე, სუბარის ინფორმაციით, ნოემბრის აქციის დარბევისას შსს-ს თანამშრომლებს გარდა მონაწილეობდნენ სამხედროები, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური ჯგუფები.

სოზარ სუბარის ინფორმაციით, 2008 წლის დასაწყისიდან ოპოზიციის 14 აქტივისტი სცემეს და ეს შემთხვევები გამოძიებული არ არის.

მოხსენებაში ასევე აღნიშნულია 2007 წლის ნოემბერში უცნობი პირების მიერ "ხალხის პარტიის" ლიდერის კობა დავითაშვილის ცემის და გატაცების ფაქტი. "მიუხედავად იმისა, რომ უცნობ პირებს გორის სამხედრო ჰოსპიტალში შესვლა (სადაც დავითაშვილი მიიყვანეს) არ შეუძლიათ, დღემდე ისინი უცნობებად რჩებიან", - მიუთითებს სუბარი.

**2007 წლის 7 ნოემბრის<sup>21</sup> მოვლენების შედეგად დააკავეს 103 ადამიანი<sup>22</sup>, მათგან 65-მა ჯარიმა გადაიხადა, 23-ს ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა, ხოლო დანარჩენებთან მიმართებაში საქმეები შეწყვიტეს.**

**2007 წლის 7 ნოემბერს ხელისუფლებამ გამოიყენა პოლიციური სპეც-დანიშნულების რაზმები მშვიდობიანი, სამართლიანი პროტესტის ჩასახშობათ.<sup>23</sup>**

### *1. მერაბ რატიშვილი<sup>24</sup>*

მერაბ რატიშვილი 2007 წლის 26 ოქტომბერს დააკავეს. იგი დაკავებას ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობას უკავშირებს. მერაბ რატიშვილის მეუღლე, ეკა ჯიხვაშვილი იხსენებს იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც ქვეყანაში რატიშვილის დაკავების დროს იყო. მას მიაჩნია, რომ სწორედ ამ ვითარებიდან გამომდინარე ხელისუფლებას რატიშვილის გამოყენება დასჭირდა.

მერაბ რატიშვილი საუბრობს იმაზე, რომ მას საპყრობილეში ყოფნის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები პერიოდულად აკითხავდნენ. ითხოვდნენ, რომ ჩვენება ოპოზიციური პარტიების ლიდერების წინააღმდეგ მიეცა.

მერაბ რატიშვილის უფლებები დაკავების მომენტიდანვე დაარღვიეს და ეს სუბარის ანგარიშში დეტალურად აისახა. „თავდასხმის“ სქემა აქაც უცვლელია: დახვედრა ჯიპებით, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული „თანამშრომლები“, ძალადობა, ცემა, ნარკოტიკის ძალით ჩაგდება. რატიშვილმა, რომელმაც დაკავებისას ორჯერ იგრძნო ჩხვლეტა, თავად დაინახა, როგორ გადააწოდა „შპრიცი“ ერთმა

<sup>21</sup> <http://www.youtube.com/watch?v=40iLJKqYKm8&feature=related>

<sup>22</sup> <http://www.youtube.com/watch?v=sqIMCBegroc&feature=related>

<sup>23</sup> <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/Assessment%20November%20events.pdf>

<sup>24</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=2797&lang=ge>

თანამშრომელმა მეორეს. ალბათ, ეს სწორედ ის „შპრიცი“ იყო, რომელიც მოგვიანებით ამავე „სამართალდამცავებმა“ რატიშვილის ავტომობილში აღმოაჩინეს. რატიშვილს სოდის თანამშრომლებმა განუმარტეს, რომ ის ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისთვის დააკავეს. აღსანიშნავია, რომ მერაბ რატიშვილი ჰიპერტონიით დაავადებულია. მას შემდეგ, რაც ნარკოტიკული ნივთიერება გაუკეთეს, რატიშვილი ცუდად გახდა და ექიმის მოყვანა მოითხოვა, თუმცა მის თხოვნას სამართალდამცავებმა ყურადღება არც მიაქციეს. ნარკოტიკების მოხმარებაზე სამედიცინო ექსპერტიზა რატიშვილს დღემდე არ ჩატარებია.

24 ოქტომბერს, დაკავებამდე 3 დღით ადრე, რატიშვილის სატელეფონო მოსმენის შესახებ მოსამართლის ბრძანება გამოიცა. ბრძანება იმის საფუძველზე გაიცა, თითქოს ვინმე მელაძეს დაუდგენელმა პირებმა მიჰყიდეს ნარკოტიკი. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში რამდენიმე ადამიანი ფიგურირებს, ცნობილია მხოლოდ ვინმე „მერაბის“ სახელი და ტელეფონის ნომერი. თუმცა 6 დღეში გაირკვა, თითქოს მერაბ რატიშვილს ვინმე მელაძის საქმესთან, რომლის გამოც უსმენდნენ, კავშირი საერთოდ არ ჰქონდა. გამოდის, რომ ეს საქმე იმისთვის შეთითხნეს, რომ სატელეფონო მოსმენაზე ნაბართვა მოეპოვებინათ.

„ეჭვს, რომ რატიშვილს ნარკოტიკები პოლიციამ ჩაუდო, ადასტურებს შემდეგი გარემოებები: მერაბ რატიშვილის დაკავების შემდეგ, პრაქტიკულად დაარბიეს მისი ოფისი, ხოლო კომპიუტერებში მოთავსებული ინფორმაციული დეტალები შეისწავლეს. ბუნებრივია, თუკი არსებობდა ეჭვი ნარკოტიკულ დანაშაულზე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამის შესახებ ინფორმაცია ყოფილიყო მის კომპიუტერში“.

**სტატუსი:** გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერი.

**ბრალდება:** სსკ 260-ე მუხლი (ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა)

**საჩქცია:** თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით

**ქმედება:** მის მიმართ საქმეს აწარმოებდა შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი, ჯაშუშობის ბრალდებით. მას შემდეგ რაც ეს არ დადასტურდა, რატიშვილს წარედგინა ბრალი სსკ-ს 260-ე მუხლით; არ ყოფილა ადრე არასდროს ნასამართლევნი ან დაჯარიმებული მსგავსი ქმედებისათვის. ნარკოტიკული ნივთიერებების ამოღებას ესწრებოდნენ მხოლოდ პოლიციელები და არცერთი სხვა მოწმე (გავრცელებული პრაქტიკა საქართველოში, ე.წ. „ჩადება“).

## 2. დავით ტატიშვილი

**ქმედება:** იყო ნოემბრის საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე

**ბრალდება:** სსკ 260-ე მუხლი (ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა)

**დაპატიმრებულია:** 2007 წლის 10 ნოემბერს

**საჩქცია:** წინასწარი პატიმრობა

**დახასიათება:** არ ყოფილა ადრე არასდროს ნასამართლევნი ან დაჯარიმებული მსგავსი ქმედებისათვის. პატაკი შედგენილია უშუალოდ 7 ნოემბერს. ნარკოტიკული ნივთიერებების ამოღებას ესწრებოდნენ მხოლოდ პოლიციელები და არცერთი სხვა მოწმე (გავრცელებული პრაქტიკა საქართველოში, ე.წ. „ჩადება“).

## პარტია "სამართლიანობა" (იგორ გიორგაძის<sup>25</sup> მიმხრეები)

პარტია „სამართლიანობა“, მოძრაობა „ანტი-სოროსი“ და გიორგაძის საქველმოქმედო ფონდი 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაარსდნენ.

2006 წლის 6 სექტემბერს გიორგაძის პარტია სამართლიანობისა და მისი სატელიტი პარტიების 29 აქტივისტი დააკავეს, თუმცა ბრალი მხოლოდ 13 წარედგინა. პროკურატურის ცნობით, დანარჩენი გაათავისუფლეს.

<sup>25</sup> [http://ka.wikipedia.org/wiki/იგორ\\_გიორგაძე](http://ka.wikipedia.org/wiki/იგორ_გიორგაძე)



თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა 2006 წლის 7 სექტემბერს განაცხადა, რომ იგორ გიორგაძის 13 მომხრეს ოფიციალურად წარედგინა ბრალი **შეთქმულებაში სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად**.<sup>26</sup>

"დღეს, დილის 5 საათზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა სპეცოპერაცია იგორ გიორგაძის პარტია „სამართლიანობისა“ და მისი სატელიტური ორგანიზაციების ლიდერების დაკავების მიზნით...ჩვენ გვქონდა ინფორმაცია და ეჭვი, ისე როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს, რომ ეს ჯგუფები გეგმავდნენ ხელისუფლების დამხობას და იგორ გიორგაძის ჩამოყვანას საქართველოში“, – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა 2006 წლის 6 სექტემბერს.

დაკავებულთა შორის არიან კონსერვატორულ-მონარქისტული პარტიის ლიდერი თემურ ჟორჯოლიანი (დღემდე პატიმრობაშია); მოძრაობა „ანტი-სოროსის“ ხელმძღვანელი მაია ნიკოლაიშვილი (განთავისუფლდა საპროცესო შეთანხმების შემდეგ), იგორ გიორგაძის ნათესავი მაია თოფურია, რომელიც პარტია სამართლიანობის წევრია.

გარდა ამისა, პარტია სამართლიანობის ადგილობრივი აქტივისტები ბათუმში, ზუგდიდში, სამტრედიისში, გორსა და კახეთის რეგიონშიც დააკავეს.

**2007 წლის 13 აგვისტოს საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის, ოპოზიციური პარტია "სამართლიანობის" ლიდერის იგორ გიორგაძის მომხრეთა საქმეზე ბრალდება საბოლოო სიტყვით გამოვიდა.**

საქართველოს პროკურატურამ პარტია "სამართლიანობის":

3. თანათავმჯდომარე მაია თოფურიასთვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა,
4. კახა ქანთარასთვის - 8 წლით,
5. თემურ ჟორჯოლიანის - 7 წლით,
6. რამაზ სამნიძისთვის - 7 წლით,
7. გურამ პაპუკაშვილისთვის - 5 წლით,
8. ვარლამ გალდავასთვის - 4 წლით,
9. გიორგი მეტრეველისთვის - 4,5 წლით,
10. ვახტანგ ტალახაძისთვის - 5 წლით,
11. გიორგი ახოზაძისთვის - 5 წლით,
12. იაკობ კვინიკაძისთვის - 5 წლით,
13. რევაზ ბულიასთვის - 5 წლით,
14. ზაზა დავითაიასთვის - 5 წლით,

ხოლო მოძრაობა "ანტი-სოროსის" ლიდერისთვის მაია ნიკოლეიშვილისთვის, რომელიც თავდებით იყო გათავისუფლებული, 2 წლით პირობითი სასჯელი.

პროკურატურამ ასევე 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა ვინმე გენადი არჩვაძისთვის, რომელიც ამჟამად ძებნაშია გამოცხადებული იმავე ბრალდებით.

საბოლოო ჯამში პარტია "სამართლიანობის" თანათავმჯდომარეს მაია თოფურიას 8,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, კახა ქანთარას - 8 წლით, თემურ ჟორჯოლიანსა და რამაზ სამნიძეს - 7-7 წლით, რევაზ ბულიას, გურამ პაპუკაშვილს, იაკობ კვინიკაძეს, გიორგი ახოზაძეს, ზაზა დავითაიას, ვახტანგ ტალახაძეს - 4,5 წლით, გენადი არჩვაძეს - 7 წლით, მაია ნიკოლეიშვილს - 2 წლით პირობითი სასჯელი, გიორგი მეტრეველს - 4 წლით, ვალერი გალდავას - 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.<sup>27</sup>

**ვახტანგ ტალახაძე** - არის პოლიტიკური გაერთიანება „ქართული მოძრაობის“ ლიდერი და მას არც პარტია „სამართლიანობასთან“ და არც მოძრაობა „ანტისოროსთან“ არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია.

<sup>26</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=13582>

<sup>27</sup> <http://www.newsgeorgia.ge/society/20080118/42138317.html>

ვახტანგ ტალახაძეს არც პირადი და არც პოლიტიკური ურთიერთობები არასოდეს ჰქონია იგორ გიორგაძესთან.

"ბრალდების მხარის არგუმენტები ჩვენს ხელთ არსებულ ფაქტობრივ მტკიცებულებებთან შედარებით სრულიად უმწეო იყო. ვფიქრობთ, ამაში სასამართლოს დარწმუნებას შევძლებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ქვეყანაში მართლმსაჯულება საერთოდ არ არსებობს", - განაცხადა აშშ-დან მსჯავრდებულების დასაცავად სპეციალურად ჩამოსულმა ერთ-ერთმა ადვოკატმა მელინდა სარაფამ.<sup>28</sup>

## შალვა რამიშვილის საქმე



2006 წლის 29 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია "202"-ის თანადამფუძნებელს შალვა რამიშვილს ოთხი წლით, ხოლო დავით კობხრიძეს, ტელეკომპანია "202"-ის თანადამფუძნებელს, სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.<sup>29</sup>

პროკურატურა ორივე განსასჯელისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილება გამოთქვეს დაკავებულთა ადვოკატებმა და განცხადეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება.

განაჩენის გამოცხადების პარალელურად სასამართლოს შენობის წინ საპროტესტო აქციას მართავდნენ ოპოზიციური პარტიების და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

შალვა რამიშვილი 2005 წლის 27 აგვისტოს დეპუტატ კობა ბექაურისგან<sup>30</sup> 100 ათასი აშშ დოლარის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს. მასთან ერთად დააკავეს დავით კობხრიძეც.

ამერიკული ორგანიზაციის „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“ განმარტებით, „საკავშირილი ხელისუფლებაში მოვიდა დემოკრატიული რეფორმების გატარების დაპირებით. პრესასთან ხანმოკლე თავლობის თვის შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოამყდავენეს კრიტიკის მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება. სააკაშვილის მთავრობამ დაწვრილებითი გააანალიზა შექმნილი

მდგომარეობა და გადაწყვიტა, ზეგავლენა მოეხდინა სატელევიზიო რეპორტაჟებზე, ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ და გავლენიან ინფორმაციის წყაროზე. ამ კუთხით საქართველოს მთავრობამ საბოლოო წარმატებასაც მიაღწია.“ ამის შემდეგ, გავლენიან ორგანიზაციას მოჰყავს ტელეკომპანია „რუსთავი-2-ისა“ და „202-ის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები.<sup>31</sup>

ტელეკომპანია „202“-მა მაუწყებლობა 2003 წელს დაიწყო. 24-საათიანი საეთერო ბადის ძირითადი ნაწილი მუსიკალური გადაცემებისაგან შედგება, თუმცა კვირაში 5-ჯერ, საღამოს ეთერში 90 წუთიანი თოქ-შოუ „დებატები“ გადიოდა, სადაც ძირითადად ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ პოლიტიკოსებს და სხვადასხვა სფეროს ექსპერტებს იწვევენ.

### 15. შალვა რამიშვილი

*სტაუსი: ოპოზიციური ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებელი  
სსკ-ს 181-ე მუხლი (გამოძალვა).*

<sup>28</sup> <http://newsgeorgia.ge/society/20070813/42032491.html>

<sup>29</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=12188&search=შალვა%20რამიშვილი>

<sup>30</sup> [http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=385&info\\_id=8312](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=385&info_id=8312) - თავის მხრივ პარლამენტის წევრი გაეხვა საკმოდ გახმაურებულ სკანდალში, მისი მხრიდან საბაჟო ტერმინალ შპს „ოპიზა“-ს მფარველობის გამო. ამ სკანდალის შემდეგ კობა ბექაურმა დატოვა საქართველოს პარლამენტის რიგები.

<sup>31</sup> <http://cpj.org/2008/02/attacks-on-the-press-2007-georgia.php>

**ბრალდება:** ბრალად ედება პარლამენტის ყოფილი წევრისათვის კობა ბექაურისათვის ასი ათასი აშშ დოლარის გამოძალვა.

**სანქცია:** თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით

**ქმედება:** გამოძალვის ფაქტი საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება

## მომრაობა ერთიანი საქართველოსათვის - ირაკლი ოქრუაშვილი <sup>32</sup>



2003, ნოემბერი - გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნების გორის მაჟორიტარულ ოლქში და გახდა გორის მაჟორიტარი დეპუტატი.

2003, დეკემბერი - 2004, იანვარი - პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლის რეგიონში.

2004, იანვარი - 2004, ივნისი - საქართველოს გენერალური პროკურორი.

2004, 7 ივნისი - 2004, 17 დეკემბერი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

2004, 17 დეკემბერი - 2006, ნოემბერი - საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

2006, 10 ნოემბერი - 2006, 17 ნოემბერი - საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.

საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა 2007 წლის სექტემბრის ბოლოს ოპოზიციური პარტიის "მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის" შექმნის შესახებ განაცხადა<sup>33</sup> და ტელეთერში ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიმართ ბრალდებებით გამოვიდა. მან პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულა მსხვილი ფინანსური გარიგებების დადებისას საკუთარი ოჯახის ლობირებაში, სამხრეთ ოსეთში შეჭრის მომზადებაში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაში განხეთქილების შეტანის გეგმის შემუშავებაში, ასევე ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციის განზრახვაში.

ამ განცხადებების შემდეგ, ოქრუაშვილი კორუფციის საქმესთან დაკავშირებით დააკავეს.<sup>34</sup> დაკითხვაზე ოქრუაშვილმა პრეზიდენტის მისამართით გაკეთებულ საკუთარ განცხადებებზე უარი თქვა და მისთვის წაყენებული ბრალდებები ნაწილობრივ აღიარა.

ოქრუაშვილი მოგვიანებით 6,5 მლნ დოლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს და მან ქვეყანა დატოვა. სასამართლოში გამოუცხადებლობის მიზეზით საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ოქრუაშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადეს.

საქართველოს ყოფილი მინისტრი გერმანიიდან საფრანგეთში იქნა ექსტრადირებული. 2008 წლის 9 იანვარს საფრანგეთში მან პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.<sup>35</sup> მანამდე გერმანულმა მხარემ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ინტერპოლით მისი საერთაშორისო ძებნაში გამოცხადების გათვალისწინებით ოქრუაშვილი 2007 წლის დეკემბერში დააკავა.<sup>36</sup>

2008 წლის 28 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს დაუსწრებლად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.<sup>37</sup>

ოქრუაშვილს ბრალი 338-ე მუხლის მესამე ნაწილის "ე" და "გ" პუნქტებით წაეყენა - ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი რაოდენობით, რომელიც ორგანიზებული ჯგუფის მიერ გამოძალვით იქნა განხორციელებული.

<sup>32</sup> [http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98\\_%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98](http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98)

<sup>33</sup> <http://www.youtube.com/watch?v=V1VD80aIRNw&feature=related>

<sup>34</sup> <http://www.youtube.com/watch?v=TFP5z8Z59fk&feature=channel>

<sup>35</sup> [http://www.youtube.com/watch?v=Rv0AEPQX\\_3A&feature=related](http://www.youtube.com/watch?v=Rv0AEPQX_3A&feature=related)

<sup>36</sup> <http://www.youtube.com/watch?v=31CoALKo8ic>

<sup>37</sup> <http://newsgeorgia.ge/geo1/20080328/42196081.html>

ოქრუაშვილი ამჟამად საფრანგეთში იმყოფება. საფრანგეთის ხელისუფლებამ მას პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

საფრანგეთმა და გერმანიამ ასევე მიანიჭა თავშესაფერი ი. ოქრუაშვილის მხარდამჭერებს - მიხეილ ქარელს (შიდა-ქართლის ყოფილი გუბერნატორი) და ბიზნესმენ ქიზარ ხალვაშს.

## **16. რევაზ კლდიაშვილი**

**სტატუსი:** თავდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის პერიოდში. არ დაეთანხმა პროკურატურის მოთხოვნას მიეცა ჩვენება ირაკლი ოქრუაშვილია წინააღმდეგ.

**დააპატიმრეს:** 2007 წლის 12 ნოემბერს.

**ბრალდება:** სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებითა (ცეცხლსასროლი იარაღის ტარება) და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება).

თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით.

**ქმედება:** გააჩნდა იარაღის ტარების უფლება როგორც პოლკოვნიკს კანონიერად, აქედან გამომდინარე ალოგიკურია რატომ უნდა ეტარებინა უკანონო იარაღი. ყალბ დოკუმენტში იგულისხმება სამსახურებრივი მოწმობა, რომელიც არ ჩაუბარებია სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ.

## **17. გიორგი ამირანაშვილი<sup>38</sup>**

გასული წლის ნოემბრის მოვლენებამდე ქუთაისში პოლიტიკური მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელის გიორგი ამირანაშვილის დაკავება მოხდა. ირაკლი ოქრუაშვილის თანამოაზრეს 25 ოქტომბერს გამთენიისას, საკუთარ სახლში ნიღბიანები დაესხნენ თავს. კარ-ფანჯრების მტვრევის შემდეგ სოდის თანამშრომლებმა ამირანაშვილი ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით აიყვანეს.

გიორგი ამირანაშვილის დაკავება კანონის უხეში დარღვევით მოხდა. იგი აიყვანეს ისე, რომ მის მიმართ დადგენილება ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილი არ ყოფილა. გამოძიება მიიჩნევს, რომ ამირანაშვილმა დანაშაული 2007 წლის თებერვალში ჩაიდინა. მას, თურმე, სატელეფონო საუბარი ჰქონდა ქურდული სამყაროს წევრთან, რუსთავის №1 საპრობილემში მოთავსებულ კახა ცანავასთან. მოგვიანებით, გამოძიებამ გაარკვია, რომ კახა ცანავასთან კი არ უსაუბრია თურმე ამირანაშვილს, არამედ, კახა ჩოგოვამესთან. თუ ამირანაშვილი ისეთი საშიში დამნაშავე იყო, რომ მის ასაყვანად სპეცოპერაციის ჩატარება გახდა აუცილებელი, რას ელოდა გამოძიება მთელი ცხრა თვის განმავლობაში, 2007 წლის თებერვლიდან 25 ოქტომბრამდე.

ამირანაშვილის ახლობლები განმარტავენ, რომ ერთადერთი დანაშაული, რის გამოც ე.წ. ეჭვმიტანილის დაკავება მოხდა, მისი პოლიტიკური მოსაზრებებია, რომ ამ ქვეყანაში ოპოზიციურ აზრს არსებობის უფლება უბრალოდ, არ აქვს.

„გიორგის დაკავება გამთენიისას, ჩვენს ოჯახში მოხდა. ნიღბიანებმა 3-4 წუთში შემოგლიჯეს კარები. ბავშვი შიშისგან გაგიჟდა და მდგომარეობიდან დღესაც არ გამოსულა. იატაკზე დააგდეს გიორგი, რომელიც განწირული ხმით ყვიროდა, რატომ მღუპავთ, იარაღს რატომ მტენითო. ჩხრეკას კი, მე არ დამასწრეს“, - ამბობს ამირანაშვილის ახლობელი ნინო დამნიანი.

როგორც ირკვევა, ამირანაშვილს ჩხრეკისას სამართალდამცავებმა თავისივე ჩადებული იარაღი აღმოუჩინეს.

თუ მართლმსაჯულება სწორად შეაფასებს საქმეში არსებულ მასალებს, ამირანაშვილი, როგორც უკანონოდ დაკავებული პოლიტიკური პატიმარი, გამართლდება. უარეს შემთხვევაში მას სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილითა (ქურდული სამყაროს წევრობა - თავისუფლების აღკვეთა 5-დან 8 წლამდე) და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (იარაღის ტარება - 3 წლამდე) გათვალისწინებული სასჯელის მოხდა მოუწევს.

<sup>38</sup> <http://humanrights.ge/index.php?a=article&id=2923&lang=ge>

**სტატუსი:** „ერთიანი საქართველოსათვის“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

**ბრალდება:** სსკ-ს 223-ე (ქურდული სამყაროს წევრობა) და 236-ე მუხლები (იარაღის ტარება). საქმის მასალების მიხედვით: სატელეფონო კავშირი „გავლენიან“ პატიმართან.

**სანქცია:** თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით.

**ქმედება:** სატელეფონო კავშირი ჩვეულებრივ პატიმართან შედგა მათში, ხოლო ამირანაშვილის დაპატიმრება განხორციელდა ოქტომბერში მისი „ერთიანი საქართველოსათვის“ მოძღაობაში გაწევრიანების შემდეგ

## 18. მარლენ ნადირაძე

**სტატუსი:** გორის საკრებულოს თავმჯდომარე, მოძრაობა „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრი.

**ბრალდება:** სსკ 338-ე მუხლი (ქრთამის აღება), 2 ტელევიზორის გამოძალვა მეწარმისაგან.

**სანქცია:** თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით.

**ქმედება:** ტელევიზორების გამოძალვას „ადასტურებს“ დამლაგებელი, რომელმაც „მოულოდნელად“ აღმოაჩინა ტელევიზორები მის კაბინეტში.

## 19. დავით ქანთარია

ქ. ფოთის ყოფილი მერი, „მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ სამეგრელოს რეგიონის კოორდინატორი.

ის ორჯერ იყო დაპატიმრებული და გათავისუფლებული იმავე პერიოდში ჩადენილ დარღვევასთან დაკავშირებით - 2002-2003 წლებში ფოთის მერის თანამდებობაზე განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით (332-ე მუხლი - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება).

მესამედ ქანთარია დაპატიმრეს მას შემდეგ, რაც იგი 2007 წლის ზაფხულში გაწევრიანდა პ/მ „ერთიანი საქართველოში“.

## 20. გივი მახარაშვილი

**სტატუსი:** „პარტია „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრი.

**ბრალდება:** სსკ-ს 239 (ხულიგნობა).

**სანქცია:** წინასწარი პატიმრობა.

**ქმედება:** არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ მომხდარი შელაპარაკება გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან მერეთის თემში.

## 21. დიმიტრი გოდაბრელიძე

**სტატუსი:** მარნეულის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი უფროსი/გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერი.

**ბრალდება:** 332-ე მუხლი (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება)

**ქმედება:** 2003 წელს მარნეულის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მის საქმიანობასთან დაკავშირებით სს საქმის გამოძიება დაიწყო ნოემბრის აქციების პარალელურად, მის მიერ თანამდებობის დატოვებიდან 4 წლის შემდეგ.

## პარტიული ნიშნით დევნის ფაქტები

### 22. დემურ ანთია

**სტატუსი:** კონსერვატიული პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

**ბრალდება:** სსკ-ს 236-ე მუხლი (იარაღის ტარება).

**სანქცია:** წინასწარი პატიმრობა.

**ქმედება:** იარაღის ამოღებას ესწრებოდნენ მხოლოდ პოლიციელები და არცერთი სხვა მოწმე (გავრცელებული პრაქტიკა საქართველოში, ე.წ. „ჩადება“).

### 23. არჩილ ბენიძე

**სტატუსი:** ლეიბორისტული პარტიის წევრი.

**ბრალდება:** სსკ-ს 194-ე მუხლი.

**სანქცია:** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია)პარტიის მიერ მოზიდული სახსრების დეკლარირების წესების დარღვევა.

**სანქცია:** წინასწარი პატიმრობა.

**ქმედება:** არ დასტურდება (ბრალდების მტკიცებულებებითაც კი) მიღებული სახსრების უკან დაბრუნება რაც გამორიცხავს ლეგალიზაციის განმარტებას.

### 24. ილია წურწუშია

**სტატუსი:** „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი.

**ბრალდება:** სსკ-ს 353-ე მუხლი - წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ.

**სანქცია:** თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

**ქმედება:** 2007 წლის 29 ოქტომბერს ხობში, პოლიციის შენობის წინ პოლიციის თანამშრომლის მიმართ ძალადობა.

## შპს “ჯეოინჟინერინგის”<sup>39</sup> დირექტორი, პროფესორ ომარ ქუცნაშვილის<sup>40</sup> საქმე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გეოლოგიის კათედრის გამგეს, 66 წლის ომარ ქუცნაშვილს სხვისი ქონების მითვისებას და საანგარიშსწორებო ბარათებში არასწორი მონაცემების შეტანას აბრალებენ.

საქმე ეხება ფონდ "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოსთვის"<sup>41</sup> (ემ-სი-ჯი) დაკვეთით "ჯეოინჟინერინგის" მიერ გლდანში სამხრეთ კავკასიურ გაზსადენზე ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

გამოძიების მასალების თანახმად, გაწეული სამუშაოების შესრულების შემოწმების შედეგად, ფინანსთა სამინისტრომ დარღვევები დააფიქსირა. ბრალდების მიხედვით, ომარ ქუცნაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული კვალიფიცირებულია სისხლის სამართლის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ა) და დ) პუნქტებით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის ბ) ქვეპუნქტით და 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) პუნქტით.

2006 წლის 3 ნოემბერს, შპს "ჯეოინჟინერინგისა" და "ფონდ ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (ემ-სი-ჯი)"-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც შპს-მ უფლება მოიპოვა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მილსადენის გლდანულას გადამკვეთი და დაზიანებული კოროზიული ნაწილის (193-ე კმ.) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისა.

დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება გლდანულას გადამკვეთ მონაკვეთზე 1 006 306 დოლარს შეადგენდა, სადაც 690 000 დოლარი გათვალისწინებული იყო სამშენებლო სამუშაოებისათვის. სამუშაოები დაფინანსდა "ფონდ ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს" (ემ-სი-ჯი)-ს მიერ.

სამუშაოს შესრულების მიზნით, შპს "ჯეოინჟინერინგისა" შპს "დიდგორთან" გააფორმა ქვეკონტრაქტი, რომლის თანახმად აღნიშნულ მონაკვეთზე 690 000 დოლარის ღირებულების სამუშაოების ჩატარება შპს "დიდგორთან" იკისრა. სწორედ ამ სამუშაოს შესრულება გახდა პროფესორ ქუცნაშვილის დაკავების საბაზი. ვითომ ამ თანხებიდან 205 000 აშშ დოლარის სამუშაო არ იქნა ნაწარმოები და თანხები არის მითვისებული.

<sup>39</sup> <http://www.employer.ge/site/303/default.aspx>

<sup>40</sup> <http://www.mcg.ge/?i=576&l=2&year=2006&gid=581&pid=674>

<sup>41</sup> <http://www.mcg.ge/?i=576&l=2&year=2006&gid=581&pid=674>

როგორც დაცვის მხარე აცხადებს, ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ბრალდების საფუძველი გახდა, ყალბია "გამოძიების მოთხოვნიდან გამომდინარე, საექსპერტო დასკვნა შსს-ს კრიმინალისტიკურმა სამსახურმა ერთ დღეში შეადგინა, ეს დრო კი 1200-გვერდიანი მასალის შესასწავლად საკმარისი არ იყო. აღმოჩნდა, რომ ექსპერტი, მისივე ჩვენებიდან გამომდინარე, საერთოდ არ იცნობდა საბოლოოდ დამტკიცებულ პროექტს და ისე ჰქონდა ე.წ. ექსპერტიზა ჩატარებული.

ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ დანაშაულის შემადგენლობას საერთოდ არა აქვს ადგილი, როგორც დაცვის მხარე აცხადებს - არის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო კორპორაცია-MCG) დირექტორის, ქოლინ ჰიუ ბაქლის 27 აგვისტოს გამოგზავნილი წერილი, სადაც ის გამოძიების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხობს: "სატენდერო დოკუმენტებში წარდგენილ პროექტს (თავდაპირველ პროექტს) ჰქონდა ხარვეზები და ამის გამო შპს "ჯეოინჟინერინგის" ეთხოვა საკუთარი ხარვეზით შეემუშავებინა გაუმჯობესებული ალტერნატიული პროექტი, რომელიც შემდგომში დამტკიცებული იქნა."

"ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია დარწმუნებულია შპს "ჯეოინჟინერინგის" და, აქედან გამომდინარე, მისი ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებაში და მიაჩნია, რომ მათი კონტრაქტის პირობები მოთხოვნილზე უკეთესი სტანდარტების შესაბამისად შესრულდა."

შპს "ჯეოინჟინერინგის" შესრულებული სამუშაოს გამო, საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციის მიერ ხარისხის სერტიფიკატი აქვს მინიჭებული, 2007 წლის 29 აგვისტოს შპს "ჯეოინჟინერინგზე" სამუშაოთა დასრულების სერტიფიკატი" გაიცა, რითიც დადასტურდა, რომ პროექტი შესრულებულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

საქმეში არსებული მასალებით, მოწმეთა ჩვენებებითაც ირკვევა, ქუცნაშვილის საქმეში დანაშაულის ნიშნები არ არის, ამის ფონზე გაუგებარია, რა გახდა ომარ ქუცნაშვილის დაკავების რეალური მიზეზი. "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია" (FIDH) პროფესორ ომარ ქუცნაშვილს, ნორა კვიციანს, მაია თოფურას პოლიტკატიმრებად მიიჩნევს. ორგანიზაციის პრეზიდენტ სურ ბელასენის განცხადებით, "ომარ ქუცნაშვილი, ფაქტია, რომ თავისი შვილის, ზაქარია ქუცნაშვილის საქმიანობის გამოა დაკავებული".

**ზაქარია ქუცნაშვილი:** "მამაჩემი უდანაშაულოა და ბრალდება თეთრი ძაფითაა შეკერილი. საკმარისზე მეტი სამართლებრივი არგუმენტი მაქვს იმისა, რომ განვაცხადო - ეს საქმე არის შეთითხნილი." რაც შეეხება ბრალდების იმ ნაწილს, სადაც საუბარია ყალბი მონაცემების შეტანაზე, ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ ანგარიშფაქტურები და ინვოისები, რომელზეც პროფესორი ომარ ქუცნაშვილი, როგორც შპს გენერალური დირექტორი აწერს ხელს, არსად არ არის ყალბი მონაცემები.

"ხელშეკრულება გაფორმებული იყო საერთო ჯამის ფასის პრინციპით, რაც ნიშნავს ფიქსირებულ ფასს. რაც ნიშნავს იმას, რომ მოცულობით მანიპულირებაც რომ დაეგეგმა პროფესორ ომარ ქუცნაშვილს, ეს გავლენას მაინც ვერ მოახდენდა ანაზღაურებაზე. რადგან ანაზღაურება ფიქსირებული იყო. მეორეც, თვითონ დოკუმენტებზე, ანგარიშ-ფაქტურებზე, და ინვოისებზე, რომლებზეც არის მამას ხელმოწერა, არსად არ არის დაფიქსირებული სამუშაოების მოცულობა", - აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.<sup>42</sup>

**ომარ ქუცნაშვილთან მიმართებაში არაერთხელ დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და შეიზღუდა მათი რეალიზაციის შესაძლებლობა. ამგვარად სახეზეა მის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპილი კონვენციის # 6 მუხლის (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) დარღვევა.**

**25. სტატუსი:** არასამთავრობო ორგანიზაცია „კანონი ხალხისთვის“ ხელმძღვანელის ზაქარია ქუცნაშვილის მამა, შპს "ჯეოინჟინერინგის" დირექტორი.  
**ბრალდება:** საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (მითვისება ან გაფლანგვა).

<sup>42</sup> <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&lang=geo&newsid=15975>

**სანქცია:** თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

**ქმედება:** მთელი წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა არაობიექტურად, მიკერძოებულად, ცალმხრივად და მხოლოდ იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ომარ ქუცნაშვილის უკანონო ბრალდება და სისხლის სამართლის პასუხისგება. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არის ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული, გაყალბებული და ვერ ადასტურებს ომარ ქუცნაშვილის მხრიდან რაიმე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას.

## ნორა კვიციანის საქმე <sup>43</sup>

**26. სტატუსი:** კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის და. ემზარ კვიციანი იძებნება ამბოხების მცდელობის ბრალდებით.



**ბრალდება:** სსკ-ს 182 (მითვისება), 223-ე (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა), 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა.)

მითვისება გულისხმობს ხეობისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთის მითვისებას.

**სანქცია:** თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 6 თვის ვადით

**ქმედება:** მითვისებას არ ადასტურებს ხეობის არცერთი მცხოვრები. იარაღი აღმოჩენილია ბინაზე სადაც ნორა კვიციანი გარდა 3 მამაკაცი, მ.შ. ამბოხებაში ბრალდებული ემზარ კვიციანი ცხოვრობდა. უკანონო ფორმირების შექმნაში ბრალდებულია მხოლოდ ნორა კვიციანი (ქალი). ფორმირების ვერცერთ წევრს გამოძიება ვერ მიუთითებს.

ნორა კვიციანის მიმართ საქმე ერთდროულად რამდენიმე მუხლით აღიძრა. მას ბრალად ედებოდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა, იარაღის უკანონო შენახვა და მისი გამგებლობის დროს სახელმწიფო ქონების - 75 ათასი ლარის მითვისება. კვიციანი კოდორის მოვლენების დროს 2006 წლის 26 ივლისს დააპატიმრეს. დაკავებამდე ის კოდორის ხეობაში, სოფელ აჟარის გამგებელი იყო. ნორა კვიციანი წაყენებულ ბრალდებებს არ აღიარებს და ამბობს, რომ ის უდანაშაულოა. მისივე თქმით, ის იმისთვის ისჯება, რომ „ხეობა შეინარჩუნა“.

კვიციანის ადვოკატმა, პაატა ჩუხუამ სასამართლო პროცესზე მოსამართლის დავით კეკენაძის აცილება მოითხოვა. მიზეზად მან მის მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაუკმაყოფილებლობა დაასახელა. ადვოკატის მოთხოვნას არ დაეთანხმა არც ბრალმძებელი და არც მოსამართლე. კეკენაძემ ადვოკატის მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა.

კვიციანის ერთერთი ადვოკატი პაატა ჩუხუა პროცესს უარყოფითად აფასებს, მისი თქმით, სასამართლო არაობიექტურად მიმდინარეობს: „ჩვენ დღეს კონკრეტულად აგვიხსნეს, რომ არც ერთი მტკიცებულება არ იქნება გამოკვლეული. მე შემძლია წინასწარვე ვივარაუდო, თუ რით დამთავრდება ეს პროცესი - ალბათ ყველა ბრალდების ეპიზოდში დადგება მისი გამამტყუნებელი განაჩენი. ამაში, უკვე ფაქტიურად ეჭვი აღარ მეპარება, იმიტომ რომ არც ერთი ჩემს მიერ დაყენებული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მოსამართლე არ არის ობიექტური,“ - ამბობს ჩუხუა.

კვიციანის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს აბსურდულად მიიჩნევენ მისი ოჯახის წევრებიც. ნორა კვიციანის დის ლალი კვიციანის თქმით: „ეს არის შოუ, სადაც მოსამართლე ყველფერში ეთანხმება პროკურორს და ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ“.

პროცესზე ბრალდების მხარემ 3 მოწმე წარადგინა, აქედან ერთ-ერთმა წინასწარ ჩვენებაში მიცემული ჩვენება უარყო და თქვა, რომ ჩვენებაზე ხელი მან გამომძიებლის მოთხოვნით მოაწერა, რის შემდეგაც ადვოკატმა გამომძიებლის დაკითხვა მოითხოვა, თუმცა სხვა მოთხოვნების მსგავსად მოსამართლემ არც ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. <sup>44</sup>

<sup>43</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=635&lang=ge>

<sup>44</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=1900&lang=ge>



## შეჯამება და რეკომენდაციები

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ფაქტების მოკლე მიმოხილვა ადასტურებს, რომ საუბრები საქართველოში პოლიტიკური მოტივებით ადამიანების დევნისა და პოლიტპატიმრების არსებობის შესახებ არაა საფუძველსმოკლებული. უფრო მეტიც, მოცემული ანგარიში კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყანათა რიგს, რომელშიც პოლიტიკური პლურალიზმის დონე ძალზედ დაბალია და ადამიანები განიცდიან სხვადასხვა ხასიათის ზეწოლას სწორედ მათი პოლიტიკური მრწამსის და/ან პოლიტიკური საქმიანობის გამო. აღნიშნული არსებითად აფერხებს ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და პლურალისტური, ბალანსირებული პოლიტიკური გარემოს შექმნას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას შეწყვიტოს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა და გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი. ადამიანის უფლებათა ცენტრი ასევე მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას გამოიჩინოს მეტი გულისხმიერება საქართველოში პოლიტიკური ნიშნით ადამიანთა დევნის საკითხთან მიმართებაში და გამოიყენოს პოლიტიკური და დიპლომატიური ზემოქმედების მექანიზმები აღნიშნული დევნის მინიმალიზებისა და აღმოფხვრის მიზნით.